

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მომზადება განაპირობა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს შექმნისა და ამოქმედებისათვის 2009 წლის 1 იანვრით განსაზღვრული ვადის ერთი თვით გადაწვევის აუცილებლობამ, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია ახლადშექმნილი უწყების ფუნქციონირებისთვის სრულფასოვანი პირობების შექმნის უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიების გატარების საჭიროებით. ამასთან, კანონპროექტის მომზადება განაპირობა „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის მე-8 პუნქტის მოთხოვნამ, რომლის თანახმადაც, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაევადა 2009 წლის პირველ მარტამდე საქართველოს კანონის პროექტის მომზადება, საქართველოს სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემაჯავლი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იურიდიული დახმარების სამსახურის ადგილის განსაზღვრის მიზნით.

საქართველოს სახელმწიფო ორგანოთა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის გამართული კონსულტაციების შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემაჯავლი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იურიდიული დახმარების სამსახურის საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში შესვლისა და მოცემული სამინისტროს დასახელების შეცვლის შესახებ. აღნიშნულ სამინისტროს უნდა ეწოდოს „საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო“.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონის პროექტი მიზნად ისახავს „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ კანონის იმ მუხლების ამოქმედების ვადის გადაწვევას, რომლებიც არეგულირებენ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს შექმნასა და საქმიანობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. პროექტის მიზანია აგრეთვე 2009 წლის 1 იანვრიდან 1 თებერვლამდე პერიოდში განსაზღვროს სისხლის სამართლის კოდექსის 342¹, 378-ე, 378¹, 378², 379-ე, 380-ე, 381-ე (თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული განაჩენის შეუსრულებლობის ნაწილში) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებისა და სასჯელაღსრულების დაწესებულების ტერიტორიაზე მომხდარ დანაშაულის საგამოძიებო ქვემდებარეობა.

გარდა აღნიშნულისა, კანონპროექტის მიღების მიზანია „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის მე-8 პუნქტის მოთხოვნის შესრულების უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში.

ა.კ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონის პროექტით ცვლილება შედის „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ კანონის პროექტის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტში, რომლის თანახმადაც კანონის მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ამოქმედდება 2009 წლის 1 იანვრიდან, კანონის მოქმედი რედაქციის ანალოგიურად, ხოლო მე-3 მუხლს ემატება მე-3 ნაწილი, რომლის მიხედვითაც ხდება სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებული ნორმების, სახელდობრ, პირველი მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 ნაწილის, მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-5, მე-6, მე-19, და მე-20 ნაწილების ამოქმედების გადავადება 2009 წლის 1 თებერვლამდე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განისაზღვრა 2009 წლის 1 იანვრიდან 1 თებერვლამდე პერიოდში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342¹, 378-ე, 378¹, 378², 379-ე, 380-ე, 381-ე (თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული განაჩენის შეუსრულებლობის ნაწილში) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებისა და სასჯელადსრულების დაწესებულების ტერიტორიაზე მომხდარ დანაშაულების საგამოძიებო ქვემდებარეობის საკითხი – კანონს დაემატა მე-2 მუხლი, რომლის თანახმადაც აღნიშნულ საქმეებს დროის მითითებულ პერიოდში გამოიძიებენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სასჯელადსრულების დეპარტამენტის საგამოძიებო დანაყოფის გამოიძიებლები.

ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლები, რომლებშიც მითითებულია საქართველოს სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, ყალიბდება ახალი რედაქციით და იცვლება სამინისტროს დასახელება, ვინაიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იურიდიული დახმარების სამსახურის ადგილი განისაზღვრა საქართველოს სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში და აღნიშნულ სამინისტროს ეწოდა „საქართველოს სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო“.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გაელენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

ბ.გ) კანონპროექტის გაელენა ბიუჯეტის ხარჯებით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებით ნაწილის ცვლილებებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ა.კ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონის პროექტით ცვლილება შედის „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ კანონის პროექტის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტში, რომლის თანახმადაც კანონის მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ამოქმედდება 2009 წლის 1 იანვრიდან, კანონის მოქმედი რედაქციის ანალოგიურად, ხოლო მე-3 მუხლს ემატება მე-3 ნაწილი, რომლის მიხედვითაც ხდება სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებული ნორმების, სახელდობრ, პირველი მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 ნაწილის, მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-5, მე-6, მე-19, და მე-20 ნაწილების ამოქმედების გადავადება 2009 წლის 1 თებერვლამდე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განისაზღვრა 2009 წლის 1 იანვრიდან 1 თებერვლამდე პერიოდში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342¹, 378-ე, 378¹, 378², 379-ე, 380-ე, 381-ე (თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული განაჩენის შეუსრულებლობის ნაწილში) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებისა და სასჯელადსრულების დაწესებულების ტერიტორიაზე მომხდარ დანაშაულების საგამოძიებო ქვემდებარეობის საკითხი – კანონს დაემატა მე-2 მუხლი, რომლის თანახმადაც აღნიშნულ საქმეებს დროის მითითებულ პერიოდში გამოიძიებენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სასჯელადსრულების დეპარტამენტის საგამოძიებო დანაყოფის გამომძიებლები.

ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლები, რომლებშიც მითითებულია საქართველოს სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, ელიბდება ახალი რედაქციით და იცვლება სამინისტროს დასახელება, ვინაიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იურიდიული დახმარების სამსახურის ადგილი განისაზღვრა საქართველოს სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში და აღნიშნულ სამინისტროს ეწოდა „საქართველოს სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო“.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გაელენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

ბ.გ) კანონპროექტის გაელენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირობებისათვის, რომლებზეც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ე) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

ვ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები :

და.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

და.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

და.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

და.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.